დამტკიცებულია

თსას-ის რექტორის

2014 წლის 12 სექტემბრის №27 ბრძანებით

ა(ა)იპ მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (შემდგომში - თსას) უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებსა და პროცედურას.
2. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია თსას-ის დაცვის პერსონალი და სამედიცინო სამსახური, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით, შიდამარეგულირებელი აქტებითა და წინამდებარე წესით.
3. თსას-ის უსაფრთხოების პერსონალი (შემდგომში - "დაცვა") უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოებას, სასწავლებლის ქონების დაცვას, სახანძრო უსაფრთხოებას და, საჭიროების შემთხვევაში, უნარშეზღუდული სტუდენტების დახმარებას შენობაში გადაადგილების დროს.
4. თსას-ის ექიმი (შემდგომში - "ექიმი“) უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას სასწავლებლის ტერიტორიაზე.

მუხლი 2. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები

1. დაცვის პერსონალი ვალდებულია, მუდმივ ზედამხედველობას უწევდეს სასწავლებელის შენობას და გარე ტერიტორიას და, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციას, რათა აღმოფხვრან იგი.
2. სასწავლებელში ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ევაკუაციის პროცედურები (დანართი №1.1). სასწავლებელი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრებით), რომლებიც განთავსებულია კორიდორებში. საგანგებო ვითარების დროს დაცვის პერსონალი ვალდებულია, დაუკავშირდეს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს, გამოიძახოს სახანძრო, სასწრაფო დახმარების სამსახური და, შესაბამისი წესების დაცვით, შენობაში მყოფთ დაეხმაროს, შენობის უსაფრთხოდ დატოვებაში.

მუხლი 3. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

1. სასწავლებლის ექიმთან ინახება პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები და სხვა სამედიცინო დანიშნულების საშუალებები (სიცხისა და წნევის გამზომი აპარატები).

2. სასწავლებელში დასაქმებულია სამედიცინო განათლების მქონე პირი - ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების აღმოჩენას.

3. უბედური შემთხვევის დროს, აუცილებელია, ნებისმიერმა პირმა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

- დროულად გამოიძახოს ექიმი.
- დაზარალებული არ გადააადგილოს ექიმის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა,როდესაც ადგილზე დარჩენა სახიფათოა.
- აუცილებლობის შემთხვევაში, მას აღმოუჩინოს დახმარება (დანართი №1.2.).
- აუცილებლობის შემთხვევაში, დაუკავშირდეს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს, გამოიძახოს სახანძრო, სასწრაფო დახმარების სამსახურები და სხვა.

მუხლი 4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მომსახურების წესი

1. თსას უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის შესაბამისი ადაპტირებული გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებშიშეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება.

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით, უზრუნველყოფილია შემდეგი ინფრასტრუქტურის არსებობა შენობაში:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის თსას-ის შენობის ცენტრალური შესასვლელი აღჭურვილია ფიქსირებული პანდუსით, რათა უნარშეზღუდულმა სტუდენტმა დახმარების გარეშე შეძლოს სავარძლით გადაადგილება;
- სსსმ სტუდენტებისათვის ადმინისტრაციას გათვალისწინებული აქვს აუდიტორია თსას-ის შენობის პირველ სართულზე.
- უნარშეზღუდული პერსონალისათვის თსას-ის დაცვის პერსონალი უზრუნველყოფს ყველა სახის დახმარებას, შენობაში მათი შუფერხებელი და კომფორტული გადაადგილების მიზნით.
- ზემოაღნიშნული წესის დარღვევაზე ვრცელდება თსას-ის შინაგანაწესით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები.

ევაკუაციის პროცედურები

- ხანძრის შემჩნევის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობეთ დაცვისა და უსაფრთხოების პერსონალს.
- ხანძრის შემთხვევაში, ყველასათვის სავალდებულოა შენობის დატოვება;
- აუცილებლად გაეცანით ევაკუაციის მარშრუტს (იხ. ევაკუაციის გეგმა);
- შენობიდან გასულები აუცილებლად უნდა შეგროვდნენ შენობის მიმდებარე ეზოში, რათა სწრაფად დადგინდეს შენობაში დარჩენილი ადამიანების რაოდენობა და მათ მიმართ დროულად გატარდეს საჭირო ღონისძიებები;
- ევაკუაციის პროცესი იწყება იმ პირებით, რომელთაც არ სჭირდებათ სხვების დახმარება გარეთ გასასვლელად, რაც გამორიცხავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაშავებას ევაკუაციის დროს. დაცვისა და უსაფრთხოების პერსონალი უზრუნველყოფს მათს ევაკუაციას;
- ოთახებისა და აუდიტორიების დატოვებისას, შესაძლებლობისამებრ, სწრაფად დახურეთ ფანჯრები და კარები, რაც ხელს შეუშლის ცეცხლის გავრცელებას;
- პირადი ნივთები აიღეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დრო და ვითარება გაძლევთ ამის შესაძლებლობას;
- ევაკუაციის შემთხვევაში უნდა შეინაჩუნოთ სიმშვიდე და სიწყნარე, რათა ყველამ გაიგონოს იმ პირთა მითითებები, რომლებიც მართავენ ევაკუაციის პროცესს;
- თუ თქვენი გასასვლელები ჩახერგილია, განთავსდით შედარებით უსაფრთხო ადგილას, ეცადეთ, დარეკოთ სხვებთან და აცნობოთ მათ თქვენი ადგილმდებარეობის შესახებ, ხოლო შემდეგ დაელოდეთ მაშველებს;
- არ დაბრუნდეთ შენობაში, ვიდრე ამის უფლებას არ მოგცემენ;
- მას შემდეგ, რაც აღმოჩნდებით უსაფრთხო სიტუაციაში, დარეკეთ საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში, ნომერზე 112.

პირველადი დახმარების გაწევის მეთოდები

1. პირველი დახმარება გულის წასვლის დროს:

- დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და ქვედა კიდურები განალაგეთ ვერტიკალურად.
- უზრუნველყავით სუფთა ჰაერის მიწოდება;
- მას შემდეგ, რაც დაზარალებულს დაუბრუნდება ცნობიერება, გაამხნევეთ და დაეხმარეთ მას ნელ-ნელა წამოჯდომაში;
- გულმოდგინედ ჩაატარეთ განმეორებითი დათვალიერება, რადგან შესაძლებელია დაცემისას დაზარალებულს მიეღო ტრავმა, გაუწიეთ პირველი დახმარება დაზიანების შესაბამისად. თუ დაზარალებულს სწრაფად არ უბრუნდება ცნობიერება, გახსენით სასუნთქი გზები, შეამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები. საჭიროების შემთხვევაში მზად იყავით სარეანიმაციო ღონისძიებების ჩასატარებლად.
- თუ გონზე მოსვლის შემდეგ დაზარალებული კვლავ ცუდად გრძნობს თავს, ურჩიეთ მას დაწვეს ზურგზე და აუწიეთ ფეხები, სანამ ზოგადი მდგომარეობა ბოლომდე არ გაუმჯობესდება.

2. ხელოვნური სუნთქვის ჩატარების ტექნიკა

- ჩაბერეთ დაზარალებულს პირში 5 წამში ერთხელ. ყოველი ჩაბერვის შემდეგ მოაშორეთ ტუჩები დაზარალებულის პირს და შემდეგ ჩაბერვამდე დაელოდეთ გულმკერდის კედელი დაუბრუნდეს საწყის მდებარეობას;
- ყოველი 10 ჩაბერვის შემდეგ კვლავ გადაამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;
- თუ ცირკულაციის ნიშნები არ არის, ეს ნიშნავს რომ გული გაჩერებულია და თქვენ სწრაფად უნდა დაიწყოთ გულის არაპირდაპირი მასაჟი:

3. გულის არაპირდაპირი მასაჟის შესრულების ტექნიკა

- დადექით მუხლებზე დაზარალებულის გულმკერდის გასწვრივ. მოძებნეთ დაზარალებულის დვრილების შემაერთებელი ხაზის შუა წერტილი, ამ წერტილის ქვევით ვათავსებთ ერთ ხელს, ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი; ეს არის ის ადგილი, რომელზეც თქვენ უნდა მოახდინოთ ზეწოლა;
- დაადეთ მტევანი ზემოდან მეორე ხელს, შეჭიდეთ თითები და ასწიეთ ზემოთ ისე, რომ მკერდის ძვალზე იდოს მხოლოდ მტევნის უკანა ნაწილი;
- გაშალეთ ხელები იდაყვის სახსარში ისე, რომ თქვენს ხელებსა და გულმკერდის წინა კედელს შორის იყოს სწორი კუთხე. მოახდინეთ ზეწოლა მკერდის ძვალზე ისე, რომ ზეწოლის სიღრმე არ აღემატებოდეს 4-5 სმ-ს. ზეწოლის შემდეგ ხელების მოუშორებლად მიეცით მკერდის ძვალს საწყის მდებარეობაში დაბრუნების საშუალება. ზეწოლისას ითვალეთ: "ერთი, ორი, სამი, ოთხი 15-მდე" ისე რომ 1 წუთში გამოვიდეს 100 ზეწოლა მკერდის ძვალზე.
- თუ თქვენ მარტო ხართ:

მოახდინეთ 15 ზეწოლა. ამის შემდეგ თქვენ უნდა დაიწყოთ ხელოვნური სუნთქვა. ამისათვის გახსენით სასუნთქი გზები და გააკეთოთ 2 ჩაბერვა. გააგრძელეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია შეფარდებით 15 ზეწოლა მკერდის ძვალზე/ 2 ჩაბერვა, სანამ: არ აღდგება სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;არ მოვა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ან დამხმარე, რომელმაც იცის გულ-ფილტვის რეანიმაციის ტექნიკა; ფიზიკურად არ გადაიღლებით.

ყოველ 1 წუთში ანუ 4 ციკლის ჩატარების შემდეგ თქვენ უნდა შეწყვიტოთ გულ-ფილტვის რეანიმაცია და გადაამოწმოთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები;

- თუ თქვენ გყავთ დამხმარე ერთ-ერთი აკეთებს გულის არაპირდაპირ მასაჟს, ხოლო მეორე ხელოვნურ სუნთქვას. ამ შემთხვევაშიც გულ-ფილტვის რეანიმაცია ტარდება შეფარდებით: 15

ზეწოლა მკერდის ძვალზე / 2 ჩაბერვა. ასეთ შემთხვევაშიც 1 წუთის შემდეგ შეწყვიტეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია ცირკულაციის ნიშნებისა და სუნთქვის შემოწმების მიზნით.

4. გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის გამოძახება.

- მაშინ როდესაც გული და სუნთქვა გაჩერებულია, ძალიან მნიშვნელოვანია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დროული გამოძახება:
- თუ გყავთ დამხმარე - დროულად გააგზავნეთ ის სამედიცინო სამსახურის გამოსაძახებლად;
- თუ ხართ მარტო - სუნთქვის და გულის გაჩერება განპირობებულია ტრავმით ჩაატარეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია 1 წთ-ის განმავლობაში, შემდეგ გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური, დაბრუნდით დაზარალებულთან და გააგრძელეთ პირველი დახმარების აღმოჩენა;